



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1454
06/08/2018

ქალაქი ბათუმი

1454-05-4-201808061045



**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა მახინჯაური 1-ლი ქუჩა N2 მდებარე
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ქარვასლას“ ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის
გამაგრება-აღდგენას შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, “ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის N36 დადგენილების, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხის განკარგვის წესის“ დამტკიცების შესახებ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აპრილის N15 დადგენილების მე-10 მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის მეორე პუნქტისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ქარვასლის“ თავჯდომარეს ქალბატონ ნინო ვაშაყმაძის 2018 წლის 28 მარტის N5046 განცხადების საფუძველზე ვბრძანებ:

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა მახინჯაური 1-ლი ქუჩა N2 მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ქარვასლა“ მიერ წარმოდგენილი პროექტი საცხოვრებელი სახლის გამაგრება-აღდგენის მოწყობაზე.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურმა (მ. ბახტაძე) განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივდეს დაინტერესებული მხარის მიერ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ფრიდონ ხალვაშის გამზირი 358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა